ხელშეკრულება №13
(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. ამბროლაური

05 თებერვალი 2015 წელი

შესყიდვა ხორციელდება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის 10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად

ერთის მხრივ, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის გამგეობა, მის.: ქ. ამბროლაური თამარ მეფის ქ.#1 (შემდგომში- შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი გამგეების მალხაზ ლომთათის სახით და მეორეს მხრივ, შ.პ.ს „პროექტირება, მშენებლობა, ექსპერტიზა"; მის.: ქ. თბილისი, ჭოველიძის ქ. #20 (შემდგომში - მიმწოდებელი), წარმოდგენილი დირექტორის თამაზ შიშინაშვილის სახით, ვაფორმებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:.

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებით შესყიდვების გეგმის შესაბამისად საინჟინრო-საპროექტო მომსახურების (cpv71320000) შესყიდვა.

2. შესყიდვის ობიექტი

2.1 შესყიდვის ობიექტია სოფ. თხმორში თეთრ ღელეზე სახიდე გადასასვლელის მოწყობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 2000 (ორიათასი) ლარს.
3.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. ანგარიშსწორების ფორმები და ვადები

4.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.
4.2 ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული გაწეული მომსახურების დამადასტურებელი შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის და შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.
4.3 ანგარიშსწორების ვადა: 4.2 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 დღე.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1 მომსახურების/სამუშაოს მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელსაც ხელს აწერენ შემსყიდველისა და მიმწოდებლის შესაბამისი უფლებამოსილი პირები.
5.2 მიღება-ჩაბარება განხორციელდება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და დადებითი საექსპერტო დასკვნის წარმოდგენის შემდეგ.

6. მიწოდების ვადები

6.1 შესყიდვის ობიექტი მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან 2015 წლის 2 თებერვლის ჩათვლით.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველი უფლებამოსილია:
ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხი ინსპექტირება;
7.2 შემსყიდველი ვალდებულია:
ა) უზრუნველყოს მიმწოდებლის მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებისა და პირობების დაცვით;
7.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) გასწიოს მომსახურება სათანადო ხარისხისა და სრული მოცულობით, ქვეყანაში მოქმედი ნორმებისა და სტანდარტებ შესაბამისად.

იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე პარამეტრი არ შეესაბამება ქვეყანაში მოქმედი ნორმებისა და სტანდარტების .ითხოვნებს, საკუთარი სახსრებით აღმოფხვრას აღმოჩენილი ხარვეზი და წარმოადგინოს სრულყოფილი ვარიანტი.

გ) საპროექტო დოკუმენტაციაზე წარმოადგნოს შესაბამისი უფლებამოსილი იურიდიული პირის მიერ გაცემული დადებითი საექსპერტო დასკვნა

დ) უზრუნველყოს საავტორო ზედამხედველობა პროექტის განხორციელების პროცესში, საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით კონსულტაციის გაწევა, საჭიროებისამებრ საპროექტო დოკუმენტაციის კორექტირება, პროექტისა და შესრულებული სამუშაოების იდენტურობის დადასტურება ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში.

8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების დადების მომენტისათვის შესაბამისად განსზღვრული პირი.

8.2 ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე გაწეული მომსახურების ხარისხის კონტროლს.

8.3 ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

9. პირგასამტეხლო ხელშერულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების, ასევე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შეუსრულებლობის შემთხვევაში მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღე'ზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,2% -ის ოდენობით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგადამტეხლის ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.3 პირგადამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველ'ზე.

10.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის. გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია

ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

10.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.5 მხარე ვალდებულია 10.4. პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

10.6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველ'ზე.

11. დაუძლეველი ძალა (ფორს-მაჟორი)

11.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გაწეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია

დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია

აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს,იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და

ასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მეორე მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

11.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13. 1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს 2015 წლის 31 მარტამდე

14. განსაკუთრებული პირობები

14.1 მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომელიც არ იქნა მოწესრიგებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით;

14.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, 2 (ორი) ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს იურიდიული ძალა აქვს;

14.3 გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება და დანართები წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

14.4 ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ეგზავნება „მიმწოდებელს", ხოლო ერთი ინახება შემსყიდველ ორგანიზაციაში.

15. რეკვიზიტები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
ამბროლაურის მუნიციპალიტეტის გამგეობა	შ.პ.ს „პროექტირება, მშენებლობა, ექსპერტიზა"
ქ. ამბროლაური თამარ მეფის ქ #1	ქ. თბილისი, ჭოველიძის ქ. #20
სახელმწიფო ხაზინა	სს თიბისი ბანკი
ბ/კ TRESGE22	კოდი #TBCBGE22
ა/ა GE24NB0330100200165022	ა/ა #GE32TB7987536080100001
ს.კ. 222937464	ს/კ #404421504
----------	----------
მალხაზ ლომთათე	თამაზ შიბინაშვილი